ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5370114

ნომერი: AR1815426

თარიღი : 02.04.2021

გაცემის თარიღი : 20.04.2021

გაცნობის თარიღი : 07.07.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 84;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა ხაინდრავა პ/ნ 01008039424
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 4 ბ. 24

ორგანიზაცია:

- სეიტონი კოდი: 205023865

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 84, შპს "გტ ბენეფიტსი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სს "საქართველოს ბანკი"-ს მიერ კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის მოპირკეთებას, კიბის და პანდუსის მოწყობას) განხორციელებას და სარეკლამო აბრების მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 882020202885 17.03.2020 წ., საკადასტრო კოდი № 01.72.14.034.660; არსებული ფოტო და კორექტირებული ფოტომონტაჟი, კორექტირებული ესკიზური ნახაზები, მინდობილობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 84, შპს "გტ ბენეფიტსი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სს "საქართველოს ბანკი"-ს მიერ კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის მოპირკეთების, კიბის და პანდუსის მოწყობის) განხორციელების და სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.